სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 38

2011 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობის 2011 წლის კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის სახელმწიფო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №87 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „ე" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის №01 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 13 ივნისს „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობის 2011 წლის კონკურსი".
2. დამტკიცდეს „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობის 2011 წლის კონკურსის" პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური